საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

ბრძანება № 6/13

ქ.თბილისი

"16" მარტი 2017 წ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ვებ-გვერდისა და სოციალური მედია რესურსის ადმინისტრირების მიზნით

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ვებ-გვერდსა და სოციალური მედია რესურსზე ტექნიკური და მასზე განთავსებული მასალის ადმინისტრატორების განსაზღვრის მიზნით „მაუწყებელთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია") ვებ-გვერდისა (www.gncc.ge) და სოციალური მედია რესურსის ადმინისტრირება დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს.
2. კომისიის ვებ-გვერდზე კომისიის თავმჯდომარის მიერ გამოცემული ბრძანებების განთავსების მოდულის ადმინისტრირება დაევალოს ადამიანური რესურსების მართვის ადმინისტრატორს (ადმინისტრაცია - ადამიანური რესურსების მართვის ჯგუფი - გ. კვანტალიანი).
3. კომისიის ვებ-გვერდზე კომისიის დადგენილებების, გადაწყვეტილებებისა და სხდომის დღის წესრიგის მოდული ადმინისტრირება დაევალოს ადმინისტრაციის საკანცელარიო და საოქმო წარმოების ჯგუფს (ჯგუფის უფროსი - ნ. ჯანელიძე, საოქმო წარმოების წამყვანი სპეციალისტი - ნ. შოვნაძე).
4. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.
5. ბრძანება შესაძლებელია გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., N6) ერთი თვის ვადაში.
6. კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურს (ა. ღლონტი);

კომისიის თავმჯდომარე **ვახტანგ აბაშიძე**